შპს ვივამედი

# საგანგებო სიტუაციებზე სამედიცინო რეაგირების მართვის გეგმა

2020წ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვივამედი“–ს

გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 28.02.20–1/6

თბილისი 28.02.2020წ

ქვეყანაში COV-19 ის გავრცელების გამო შექმნილი ეპიდსიტუაციის შესაბამისად, საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“,ასევე მთავრობის N508.25.09.2015 წლის დადგენილების „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“

და N452.6.10.2017წ ის „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად

ვბრძანებ

შეიქმნას კლინიკა „ვივამედში“ საგანგებო შტაბი შემდეგი შემადგენლობით::

1—საგანგებო შტაბის უფროსი კლინიკური მენეჯერი–ზურაბ ჩხაიძე 577595579

2–მოადგილე—კლინიკის ეპიდემიოლოგი დოდო რატიშვილი 591914745

3—მატერიალურ–ტექნიკური მომარაგების უფროსი—წევრი ნოვრუზ გარიბოვი 577339797

5—საევაკუაციო ჯგუფის უფროსი–წევრი გურამ გურული 551614171

6—კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ჯგუფის უფროსი–-წევრი მანუჩარ ქოპილაშვილი 577099988

7—სამედიცინო რეაგირების ჯგუფის უფროსი–წევრი– თამარ ტყეშელაშვილი 577733273

8—საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი–წევრი კახა ნადარაია 599558760

9—ლაბორატორიული სამსახურის უფროსი—წევრი ნათია წოწორია 599508789

10—დასუფთავება–დეზინფექციის სტანდარტების განხორციელებზე პასუხისმგებელი პირი — კლინიკის დიასახლისი — წევრი ნინო ძებისაშვილი 577339920

ბრძანება ძალაშია 2020 წლის 28 თებერვლიდან

გენერალური დირექტორი ნ.ნადირაძე

დანართი 1

## 1. საგანგებო სიტუაციების შტაბის უფროსის უფლება-მოვალეობები

ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში ვალდებულია:

1. შეადგინოს დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის სისტემის მომზადების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა;
2. შეადგინოს დაწესებულების ყოველწლიური სამუშაო გეგმა;
3. ორგანიზება გაუწიოს დაწესებულების საევაკუაციო გეგმის მომზადებას;
4. მოამზადოს დაწესებულების თანამშრომელთათვის (განსაკუთრებით გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების განყოფილებების - მიმღები, რეანიმაცია) საგანგებო სიტუაციების მართვაზე ადექვატური სამედიცინო რეაგირებისათვის ყოველწლიური სწავლება-მომზადების გეგმა და აკონტროლოს მისი განხორციელება;
5. კონტროლი გაუწიოს დაწესებულების კუთვნილი თავშესაფრებისა და საწყობების ფუნქციონირებასა და ექსპლუატაციას;
6. მუდმივ მზადყოფნაში იქონიოს შეტყობინებებისა და კავშირგაბმულობის სიტემები;
7. დაგეგმოს და ჩაატაროს სამოქალაქო თავდაცვის სწავლებები;
8. იზრუნოს დაწესებულების ბალანსზე არსებული ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებების (კომბინიზონი, აირწინაღი, ნიღაბი, რესპირატორი, ინდივიდუალური აფთიაქი და ა. შ.);
9. განსაზღვროს საგანგებო სიტუაციის დროს დაწესებულების როლი და ფუნქცია;
10. მოამზადოს მასალების საგანგებო სიტუაციებზე სამედიცინო რეაგირების შტაბის გამართული ფუნქციონირებისათვის;
11. უზრუნველყოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალკური დაცვის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტებთან ურთიერთკავშირი და საგანგებო სიტუაციებზე სამედიცინო რეაგირებისა და რეფერალურ ქსელში ჩართულების გეგმის შეთანხმება;
12. შექმნას ფორმალიზებული დოკუმენტები;

## 2. საგანგებო რეჟიმში ვალდებულია:

1. ორგანიზება გაუკეთოს დაწესებულების თანამშრომელთა შეტყობინებას;
2. ორგანიზება გაუკეთოს საგანგებო სიტუაციების შტაბის წევრების შეკრებას;

3. შეიმუშაოს გადაწყვევიტილებები საგანგებო სიტუაციების შტაბისა და საევაკუაციო კომისიის შემდგომი მოქმედებებისათვის;
4. მობილიზება გაუკეთოს და მზადყოფნაში მოიყვანოს არსებული საშუალებები;
5. უზრუნველყოს დსაწესებულების თანამშრომლები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
6. გააცნოს ადგილობრივ სამაშველო სამსახურებს საგანგებო სიტუაციების შტაბის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
7. უზრუნველყოს დაწესებულების მდგრადი მუშაობა;
8. მოახდინოს საგანგებო სიტუაციაზე სამედიცინო რეაგირების განხორციელებაში მონაწილე ძალების მოქმედების კოორდინაცია;
9. შეაფასოს საგანგებო სიტუაცის შედეგად შექმნილი სიტუაცია;
10. ორგანიზება გაუწიოს საევაკუაციო ღონისძიებებს;
11. იზრუნოს ევაკუირებულთა კვების პროდუქტებითა და პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფაზე;
12. მუდმივად გააკონტროლოს საგანგებო სიტუაციაზე სამედიცინო რეაგირების ღონოისძიებების მიმდინარეობა და განსაზღვრული დროის ინტერვალში მიაწოდოს ინფორმაცია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს;
13. მუდმივი კავშირი ქონდეს კატასტროფის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებთან;
14. აწარმოოს ფორმალიზებული დოკუმენტაცია.

დანართი 2

საგანგებო სიტუაციაზე სამედიცინო რეაგირების და რეფერალურ ქსელში ჩართულობის გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელი განყოფილებების და სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა:

1. გამართული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გამწევი განყოფილებები (მიმღები, რეანიმაცია, ბოქსირებული განყოფილებები და სხვა);
2. ფილტვის ხელოვნური ვენტილაციის აპარატები:
   2.1 სიპაპ აპარატები;
3. დეფიბრილატორი;
4. პაციენტის სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორები;
5. დიაგნოსტიკური სერვისები (ლაბორატორია, ე.კ.გ. რენტგენოლოგიური და ულტრაბგერითი კვლევები) 24 საათიანი გამართული ფუნქციონირებით;
6. დაწესებულების ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების სისტემები უწყვეტი ფუნქციონირებით;
7. გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის განკუთვნილი მედიკამენტებისა და ერთჯერადი სამედიცინო მოხმარების საგნების მარაგი;
8. გამართული კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემები (მობილური კავშირი, ინტერნეტი);